ქ. ქუთაისი 1 ივნისი

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ მეორე არგუმენტი ქალთა უფლებების მტერთა იმაში მდგომარეობს, რომ თითქოს ქალვაჟთა შრომისა და ხელფასის გათანასწორებას შეეძლოს ისედაც გამწვავებული კონკურენციიის გაძლიერება. წამოგვიყენებენ რა ასეთს არგუმენტს მათ სრულად ავიწყდებათ ის თვალსაჩინო მოვლენა, რომ ქალთა კონკურენცია დღეს უფრო საშიშარია მამაკაცებისათვის, როცა უუფლებო ქალებს ნივთიერ გაჭირვებისა გამო მაინც მოუხვდებათ სამრეწველო დარგში მუშაობა მიუხედავათ ხელფასის სიმცირისა. ნამდვილათ კი ხელფასისა და შრომის გათანასწორებით ქალების კონკურენცია არა თუ საშიშარი არ არის მამაკაცებისათვის, არამედ დიდად გამოსადეგარი მათთვის და დამასუსტებელი თვით კონკურენციისა. მისთვის, რომ გაფიცულ მუშების მოთხოვნილებას ქალები უფრო თავგამოდებით მხარს დაუჭერენ; და მათ სამათხოვრო ქირით ვერავინ სამუშაოთ ვერ წაიტყუებს, როგორც ეს ხდება დღეს ქალთა შრომის დაუფლებლობით. ქალთა თანასწორი ხელფასით აიწევს, თვით ნივთიერი მდგომარეობა მუშა მამაკაცისა, მით რომ ქალები იქნებიან თანასწორი წვლილის შემომტანი ოჯახში და მაშასადამე ორთავე სქესი თანასწორი დამხმარენი საერთო გაჭირვებაში ერთი მეორისა.

უფლებიანი დედაკაცები მარსზე და იუპიტერზე ცხოვრებას არ აპირებენ, რომ იქ წაიღონ და გაფლაგონ დედამიწაზე აღებული ხელფასი და მით შეავიწროონ ცხოვრება მამაკაცებისა.

ქალიცა და ვაჟიც ორთავენი მიწის შვილებია და ამ შემთხვევაში საერთოდ მამაკაცები ვერაფერს დაჰკარგავენ, გარდა იმისა, რომ ქალი ცოლი იქნება ის, შვილი, და თუ ოჯახში ნაცვლად მოსამსახურისა გაუხდება მას თანასწორუფლიანი ამხანაგი, როგორც თანასწორი უფლებიანი წევრი ოჯახისა.

ქალთა უფლების მტრებს, რომ ავხორცული ოცნებისგან შეეძლოთ განთავისუფლება თავიანთ აზროვნებისა, ისენი ნაცვლად ასეთი ცრუ არგუმენტების წამოყენებისა ნათლად დაინახავდნენ მას, თუ რამდენათ საკეთილოდ მოიხმარდნენ ქალები თავიანთ შრომას საზოგადოების მიერ დაფასებას. რამდენად თვით დააფასებდნენ ისენი სხვისი შრომით მიღებულს თითეულს გროშს, რომელსაც დღეს უსაქმურ ქალების თვალში არაფერი ფასი აქვს და რასაც უდარდელად ფლანგავენ, ხშრად საზიანოდ მთელი ოჯახისა.

მათ შეეძლოთ დაენახათ ისეც, თუ რამდენათ ხელს მოუმართავდნენ ქალები გაჭირვებაში თავიანთ მახლობელ მამაკაცებს იქნებოდა ის ქმარი, მამა, შვილი, თუ ამხანაგი,

მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ქალთა უფლების მტრების თვალთახედვას სავნებათ ტკბილო ბლანდი ახვევია და თითეულს საკითხს ქალთა უფლებისას ისენი ტლანქი სექსუალური ინსტიკტის თვალსაზრისით ზომავენ.

მათ, რომ შეეძლოს გადახედონ ქალთა საკითხს ისე, როგორც ადამიანი, ან ისე როგორ მამა, ძმა, შვილი , თუ ამხანაგი მათთვის არ ისე ძნელი იქნებოდა წარმოდგენა უუფლებო ადამიანის მდგომარეობისა, გათვალისწინება მისი სულიერი ტანჯვისა, რომლის ძალით შესაძლებელი იყო აღძრულიყო მათში სურვილი ერთხელ და სამუდამოთ დიდი უსამართლობის მოსპობისა.

ასეთ ადამიანურ შემეცნებამდე ჯერ ვერ აღწეულადნ ჩვენი უფლების მტერნი და აღნიშნულ საკითხის წინაშე ისენი სდგანან, როგორც სქესი და არა ისე, როგორც მოაზროვნე არსებანი, სექსუალური ინსტიკტი ფლობს მათ გონებას, ვნება აბნელებს მათ აზროვნებას და ამ სიბნელეში ისენიც სხვა და სხვა უზნეო ეგოისტური შეხედულობით თხზავენ სხვა და სხვა ცრუ მიზეზებს

გასამართლებლად თავიანთი ბიწიერი ცხოვრებისა და აქედან დედრობითი სქესის მონობასა. და აი ასეთი მიზნით გამოწვეულია ქალვაჟთა შრომისა და ხელფასის თანასწორიბისადმი შიშიც.

1917 წელი #8